მწვანე სკოლა

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა

(2023-2030 წწ)

შპს „მწვანე სკოლა - დიღმის მასივის“ შვიდწლიანი (2023-2030 წწ) სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და მიზნებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით.
7 (შვიდ) წლიან სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია 2023-2030 წლების სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და განვითარების, საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია.

სტრატეგიული გეგმის სწორად განხორციელება ხელს შეუწყობს სკოლის წარმატებულ საქმიანობას, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება ხდება შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. ობიექტური ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია მოხდეს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა გარკვეული პერიოდულობით. წინამდებარე სტრატეგია შედგენილია SWOT ანალიზის საფუძველზე და წარმოადგენს მოკლევადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების საფუძველს.

სკოლის ხედვა - სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით ხელი შეუწყოს დემოკრატიული, ჰუმანური, ცოდნაზე ორიენტირებული, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალურად მოაზროვნე აქტიური ადამიანების, თაობების აღზრდას, რომელიც შეცვლიან მსოფლიოს უკეთესობისკენ.

სკოლის მისია **-** შპს „მწვანე სკოლა დიღომის მასივის“ მისიაა შექმნას მოზარდთა ინტელექტუალირი და ფიზიკური აღზრდისთვის საჭირო ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო, მოსწავლეებს მისცეს თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი განათლება. აღზარდოს სასახელმწიფოებრივად და შემეცნებითად მოაზროვნე ახალგაზრდა, რომელიც მომავალი წარმატებებისთვის მუდმივად იზრუნებს აკადემიური ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და გამოყენებაზე.

სკოლის მიზანია შექმნას გარემო, სადაც მომავალი თაობები ცხოვრების საწყის ეტაპს საინტერესოდ და ნაყოფიერად გაატარებენ, ხელი შეუწყოს მომთხოვნი, სიახლეების მაძიებელი, მოაზროვნე, მცოდნე და მზრუნველი ახალგაზრდა თაობის განვითარებას, რომლებიც თავიანთ დადებით წვლილს შეიტანენ ქვეყნისა და მსოფლიოს უკეთესი მომავლისთვის.

ღირებულებები

განცხადებული მომავლის ხედვისა და სკოლის მისიის განხორციელების მიზნით, სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ სკოლამ მთლიანობაში და მისმა ყოველმა ცალკეულმა თანამშრომელმა თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი სამუშაო პრინციპებითა და მიდგომებით:

- პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება;
- პატიოსნება და კეთილსინდისიერება;
- სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა;
- მიუკერძოებლობა;
- ერთგულება;
- ინოვაციური მიდგომები და წარსული გამოცდილების გათვალისწინება;
- ინიციატივების სწორი შეფასება და განხორციელებაში ხელშეწყობა;
- პროფესიული ზრდა და განვითარება;
- გუნდურად მუშაობა.

SWOT - ანალიზი

S (ძლიერი მხარე)	W (სუსტი მხარე)
• პოზიტიური, წამახალისებელი გარემო; • მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო; • თანამშრომლობითი სასწავლო გარემო; • თანამედროვე და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; • გამწვანებული დიდი ეზო; • თანამედროვე მიდგომები; • გაცვლითი პროგრამები; • სკოლის დამატებითი სერვისები; • საგაკვეთილო პროცესში მრავალფეროვანი სპორტული სახეობების შეთავაზება; • სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა; • საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული საგანმანათლებლო ქსელის წევრობა.	• სსსმ მოსწავლეებისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ადაპტირებული გარემოს სიმცირე; • მომავლის ლაბორატორიის უქონლობა; • სკოლის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში სიხშირესთან დაკავშირებული პრობლემები; • ადამიანური რესურსის ნაწილის ტექნიკური უნარების სიმცირე; • სკოლის შენობის მე-3 და მე-4 სართულებზე, მატერიალური რესურსის ნაწილის განახლების/მოწესრიგების საჭიროება.
O (შესაძლებლობები)	**T (საფრთხე)**
• ინვესტიციების მოზიდვა; • კლუბების განვითარება; • საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა; • მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების დამატება; • ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ზრდა/განვითარება.	• კანონმდებლობის ხშირი ცვლილება; • არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო; • მშობელთა მხრიდან სწავლების საფასურის გადახდისუნარიანობის შემცირება; • რეგულაციების ხშირი ცვლილებით გამოწვეული საფრთხეები; • ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების სიმცირე ბაზარზე.

რესურსები:

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების საჭიროებებს. სკოლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ არსებული რესურსების ეფექტურ გამოყენებას, მიწოდებას, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას. სკოლის დირექცია ეხმარება კათედრებს და სკოლაში დასაქმებულ პირებს განავითარონ სტრატეგიული საკითხები, რომლებიც შეესაბამებიან ერთიან სასკოლო მიზნებს.

სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის საჭირო სკოლაში არსებული სივრცეები:

ბიბლიოთეკა - სკოლის ბიბლიოთეკა ღიაა ყველა დაინტერესებული პირისათვის. ბიბლიოთეკის ეფექტური გამოყენება მოიცავს მოსწავლეების უახლესი საგანმანათლებლო მასალით მომარაგებას, რაც მათ დაეხმარება როგორც საჭირო თეორიული ცოდნის გაღრმავებაში, ასევე, უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში.

ლაბორატორიები - სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით. ყველა მოსწავლე, თეორიული ცოდნის მიღების პარალელურად, გადის პრაქტიკულ სამუშაოებს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა რესურსის გამოყენებას. ლაბორატორიებში მუშაობა მოსწავლეებს ეხმარება პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში, რაც ხელს უწყობს შესწავლილი პროგრამის გაღრმავებასა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას.

გარე საკლასო ოთახები - სკოლის კონცეფციიდან გამომდინარე, სკოლის ეზოში ფუნქციონირებს სამი ღია საკლასო ოთახი. ღია საკლასო ოთახებში გაკვეთილების ჩატარება დადებითად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე, ქცევაზე, გაკვეთილის ხარისხზე. ბავშვებს უხარიათ ღია სივრცეში გაკვეთილის ჩატარება, ვინაიდან პროცესი მიმდინარეობს სახალისოდ.

სპორტული მოედნები - სკოლის ერთ-ერთი უმნიშველოვანესი პრიორიტეტია ხელი შეუწყოს მოსწავლეებს როგორც გონებრივ, ასევე ფიზიკურ განვითარებას. ღია და დახურული სპორტული მოედნები, მათ შორის ჩოგბურთის კორტი, სადაც სკოლის სპორტული აქტივობები ტარდება, სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

სააქტო დარბაზი - სკოლაში ფუნქციონირებს სააქტო დარბაზი, რომლებიც ემსახურება როგორც სკოლის მოსწავლეებს ასევე თანამშრომლებს.

სამხატვრო სახელოსნო - სამხატვრო სახელოსნოში განთავსებულია სხვადასხვა რესურსები, მათ შორის ფუნჯები, საღებავები, კინეტიკური ქვიშა, გუაშები, ფერადი ფურცლები, საძერწები, craft-ის ინვენტარი და სხვა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განახორციელონ შემოქმედებითი აქტივობები.

შეხვედრების ოთახი - პირველ სართულზე მოწყობილია შეხვედრების ოთახი, სადაც იმართება

რესურს ოთახი - ვინაიდან სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები, აქტიურად ფუნქციონირებს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია განმავითარებელი რესურსებით, ალტერნატიული სამეტყველო რესურსებით. ოთახში შექმნილია მყუდრო და სასიამოვნო გარემო, განთავსებულია პუფები.

ბუფეტი - სკოლაში ფუნქციონირებს ბუფეტი, რომელიც არის კეთილმოწყობილი, ილუსტრირებული და თანამედროვე ავეჯით აღჭურვილი.

სამედიცინო ოთახი - სკოლაში განთავსებული სამედიცინო კაბინეტი ემსახურება სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს. მაღალკვალიფიციური ექიმი/ექთანი ნებისმიერ მსურველს უწევს კონსულტაციასა და საჭირო სამედიცინო დახმარებას.

სტრატეგიული მიმართულებები

სკოლის შესაძლებლობებისა და საქმიანი გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიის, ხედვის და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების ფარგლებში სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

1. სკოლის მომსახურების - განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
2. სკოლის რესურსების (ადამიანური და მატერიალური) გაუმჯობესება;
3. სკოლის ორგანიზაციული განვითარება.

თითოეული სტრატეგიული მიმართულება თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად.

N	სტრატეგიული მიმართულებები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
			2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030
1.	**მომსახურების - განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;**	პროგრამების შემუშავება/განახლება და დანერგვა							
		მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი, დამატებითი სასწავლო პროგრამების შეთავაზება							
		სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება							
		სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა							
2.	**სკოლის რესურსების (ადამიანური და მატერიალური) გაუმჯობესება**	სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება							
		პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება							

		უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა							
		მწვანე სკოლის კონცეფციის განხორციელება							
3.	**სკოლის ორგანიზაციული განვითარება**	სკოლის მასშტაბების ზრდა							
		ახალი შენობის აშენება							
		ფინანსური მდგრადობა							
		პარტნიორობა საერთაშორისო საგანმათლებლო დაწესებულებებთან							